



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მ ი ნ ი ს ტ რ ი

100163414002113

KA100163414002113

თბილისი

10 / ივნისი / 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/341

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების თანდართული დებულებები.
2. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N20 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ლევან ყიფიანი